ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2025 წლის 31 იანვრის სხდომა
ოქმი # 2
სხდომას ესწრებოდა სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან 18 წევრი

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ სააკრედიტაციო პაკეტის დამტკიცება;
   მომხს. თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი.
   მომხს. ს. დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი.

მოისმინეს: მომხსენებელმა დამსწრეთ წარუდგინა სააკრედიტაციო პაკეტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა.

აზრი გამოთქვეს: ს.დუნდუამ, ნ. ბელქანიამ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ;

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“ სააკრედიტაციო პაკეტი და განსახილველად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს;

მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანმა, სალომე დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში განხორცილებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საჭირო იყო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა და ამისათვის არსებულ დებულებაში რამდენიმე ცვლილების განხორცილება. მოცემული ცვლილებები დაგზავნილი ჰქონდათ საბჭოს წევრებს და, შესაბამისად, ინფორმაციას დაგეგმილი ცვლილების შესახებ ისინი დეტალურად იცნობენ. ს. დუნდუას თქმით, თსუ წესდებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილებების განხორციელბისთვის საჭირო იყო ფაკულტეტის საბჭოზე საკითხის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ზ. დავითაშვილმა.

დაადგინეს: მხარი დაეჭიროს საუნივერსიტეტოს სადისერტაციო საბჭოს დებულებაში დაგეგმილი ცვლილებების განხორციელებას. გადაწყვეტილება გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე — სალომე დუნდუა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარჩია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ლაშა მათიაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

თინათინ მაჭარაშვილი

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

დასკვნა

სააკრედიტაციოდ მომზადებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის - „ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება“ შესახებ

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში განსახილველად შემოვიდა, მაგისტრატურის საგანამანთლებლო პროგრამა „ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება“ , რომლის ხელმძღვანელია პროფესორი ნოდარ ბელქანია.

სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და იხელმძღვანელა რა თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის #100/2019 დადგენილებით, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურების“ შესახებ, შეკრა სტრუქტურირებული პაკეტი.

პროგრამის აღწერილობამ, სტრუქტურამ და სილაბუსებმა გაიარა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგი. შემოწმდა პროგრამის შინაარსი, მისი შემადგენელი კომპონენტების შინაარსი და ფორმა, წარმოდგენილი სასწავლო კურსების მიზანდასახულობა და სწავლის შედეგები, მათი შესაბამისობა და თანხვედრა პროგრამის მიზნებთან.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, ასევე შეამოწმა, პროგრამის შესაბამისობა საუნივერსიტეტო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან.

პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი პაკეტი, მოიცავს #100/2019 დადგენილებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ჩამონათვალს, შესრულებულს ნაწილობრივ არასრულყოფილად და ხარვეზებით. მაგალითისთვის, პროგრამაში ჩამოთვლილი მეთოდებიდან ერთ - ერთი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) არაა ასახული არც ერთ სილაბუსში, ხოლო სამ სილაბუსში არსებული, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, არაა პროგრამაში; სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურა, ხშირ შემთხვევაში, მოძველებულია; კომიტეტის სხდომათა ოქმები თარიღდება მხოლოდ 2021 - 2022 წლებით, ხელმოწერის გარეშე, რომლებშიც პროგრამის ახალ სახელწოდებაზე არაფერია აღნიშნული; სამაგისტრო უწყისები, ანალიზის გარეშეა წარმოდგენილი; პროგრამასა და/ან ინტენსიური კურსების სილაბუსებში, არაა დაკონკრეტებული სწავლების ენა; პროგრამის სტრუქტურაში, სწავლების მეორე სემესტრში, სტუდენტს შეთავაზებული აქვს 5 სავალდებულო და მხოლოდ ერთი არჩევითი საგანი, რაც ეწინააღმდეგება არჩევითობის პრინციპს და სხვ.

პაკეტში არ დევს პერსონალის დატვირთვის დოკუმენტი და ბიბლიოთეკის ცნობა, რაც საშუალებას არ გვაძლევს გავერკვეთ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის ხარისხში, მით უფრო, რომ ზოგ სილაბუსში არც კი წერია ლიტერატურის ხელმისაწვდომობის თაობაზე.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტებისადმი სოლიდარობისა და თსუ-სა და ფაკულტეტის მიერ, მრავალი წლის მანძილზე პროგრამის განვითარებაზე (რომლის სახელწოდება მცირედ მოდიფიცირდა და შეეცვალა საკვალიფიკაციო კოდი) დახარჯული ფინანსური, თუ ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამას - „ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება“, **განსახილველად გადასცემს ფაკულტეტის საბჭოს.**

ვიმედოვნებთ, მაგისტრატურის საგანმანთლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტი მოკლე დროში სრულყოფილ სახეს მიიღებს, არსებული სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თამარ დოლბაია

31 იანვარი, 2025

N 34813/10 24.12.2024

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს,
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დირექტორებს

გთხოვთ, თსუ წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოთ თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ შემუშავებული „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში ცვლილება (იხ. დანართი).

დალი კანდელაკი

აპარატის უფროსი
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო

პროექტი

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, 43[1] მუხლის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების“ (დანართი №1) მე-13 მუხლის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში“ (დანართი №1):

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებას თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისიის (შემდგომში - „სააპელაციო კომისია“) შექმნის თაობაზე, წარდგინების მიღებიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღის ვადაში“.

ბ) მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას და სააპელაციო კომისიას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე“.

გ) მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თითოეული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია შედგება შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებისგან, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში“.

დ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ 1 წევრი უნდა იყოს შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი საქართველოდან, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა. სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი“.

ე) მე-5 მუხლს მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „3^1“ პუნქტი:

„3^1. დაცვის კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი“.

ვ) მე-6 მუხლის „დ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ პუნქტი:

„ე) უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურის ხელახლა ჩატარებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისიის მიერ პროცედურული დარღვევების გამოვლენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამისი მითითებით“.

ზ) მე-8 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „8^1“ მუხლი:

„მუხლი 8^1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის სააპელაციო კომისია

1. დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრების მიზნით საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სააპელაციო კომისია შედგება შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებისგან.

2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა შეირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

3. სააპელაციო კომისიის წევრს და დოქტორანტს/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის არ შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს კანონი - ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილითა და 92-ე მუხლითდადგენილი გარემოების არსებობა.

4. სააპელაციო კომისია თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს ირჩევს თავისი შემადგენლობიდან.
5. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.
6. სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე. კომისიის მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს კომისიის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი.
7. სააპელაციო კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი".

თ) მე-13 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 მუხლი:
„მუხლი 14. გარდამავალი დებულებები
1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს 2024 წლის 30 აგვისტომდე ჩარიცხული დოქტორნატებისთვის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებას თითოეული სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევის თაობაზე, წარდგინების მიღებიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღის ვადაში".

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).
4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.